საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური

EMERGENCY MANAGEMENT SERVICE

ES 2 18 00057702

23/08/2018

არქიტექტურული პროექტის განხილვა

სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის
III-IV კლასის შენობა-ნაგებობების სანებართვო განყოფილების
პირვლადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს
თეონა ახალაშვილს

ქალბატონო თეონა,

თქვენი 2018 წლის 20 ივლისის N60-0118201399 წერილის (სამსახურში რეგისტრაციის თარიღი 21.08.2018; N57101) პასუხად გაცნობებთ, რომ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სპეციალისტების მიერ „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57-ე დადგენილების 32-ე მუხლის პირველი პუნქტის „ზ[1]“ ქვეპუნქტის შესაბამისად, განხილული იქნა ქალაქ თბილისში, გოძიაშვილის ქუჩა N22 და N24-ში (ნაკვეთი 20/52) არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ 01.10.10.020.182) სასაწყობო და სავაჭრო დანიშნულების შენობის დაპროექტების დოკუმენტაცია, სახანძრო უსაფრთხოების მარეგულირებელ ნორმებთან, ტექნიკურ რეგლამენტებთან ან/და სტანდარტებთან შესაბამისობის ნაწილში.

წარმოდგენილი დაპროექტების დოკუმენტების განხილვის შედაგად დადგინდა, რომ „ტექნიკური რეგლამენტი შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე “საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის N41 დადგენილების და „საქართველოს ტერიტორიაზე სამშენებლო სფეროს მარეგულირებელი ტექნიკური რეგლამენტების აღიარებისა და სამოქმედოდ დაშვების შესახებ“, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის N52 დადგენილების მოთხოვნების შესაბამისად აღიარებული და საქართველოს ტერიტორიაზე დროებით სამოქმედოდ დაშვებული სახანძრო უსაფრთხოების მარეგულირებელი ნორმების მინიმალური მოთხოვნების გათვალისწინებით, შესამუ-შავებელია სახანძრო უსაფრთხოების რიგი ღონისძიებები, რომელთა პროექტში რეალიზება საგრძნობლად გაზრდის სასაწყობო და სავაჭრო დანიშნულების შენობის ხანძარსაწინააღდეგო დაცვის ხარისხს და უსაფრთხოებას, კერძოდ:

1. შენობის გარე ხანძრის ჩაქრობისათვის გათვალისწინდეს გარე ხანძარ-საწინააღმდეგო რგოლური წყალგაყვანილობის არანაკლებ 100 მმ ქსელის მოწყობა, ქსელზე „თბილისის“ ტიპის სახანძრო ჰიდრანტების მონტაჟით. გარე ხანძარსაწინააღმდეგო წყალგაყვანილობის

ქსელზე სახანძრო ჰიდრან-ტები დამონტაჟდეს სავალი გზის გასწვრივ, მისი კიდიდან არაუმეტეს 2,5 მ მანძილზე, მაგრამ შენობის კედლიდან არანაკლებ 5 მ დაცილებით. სახანძრო ჰიდრანტები ქსელზე ისე უნდა განთავსდეს, რომ მისი საშუალებით შესაძლებელი იქნას ხანძრის ჩაქრობა შენობის ნებისმიერ სათავსში. SP 8.13130.2009 4.1 პუნქტის „შენიშვნის“ პირველი პუნქტის შესაბამისად განაშენიანების ტერიტორიაზე წყალგაყვანილობის არარსებობის შემთხვევაში, გარე ხანძარსაწინააღმდეგო წყალმომარაგება უნდა განხორციელდეს სახანძრო რეზერვუარის მოწყობის გზით და დადგენილი წესით განისაზღვროს მისი მოცულობა SP 8.13130.2009 პუნქტი 5.2 ცხრილი 2; პუნქტები 8.6; 8.10. მოთხოვნების შესაბამისად.

2. სახანძრო ჰიდრანტის (წყლის რეზერვუარის), აგრეთვე მათთან მისასვლელი გზების ადგილმდებარეობა აღინიშნოს სახანძრო უსაფრთხოების ნიშნებით (მოცულობითი შუქსიგნალიანი ან ბრტყელი, დამზადებული შუქამრეკლი საფარების გამოყენებით).

საფუძველი: „ტექნიკური რეგლამენტი სახანძრო უსაფრთხოების წესების და პირობების შესახებ“ მე-13 მუხლის მე-6 პუნქტი.

3. ვინაიდან ხანძარსაწინააღმდეგო მანძილები (დაცილება) სასაწყობო და სავაჭრო შენობა-ნაგებობიდან მეზობლად მდებარე შენობა-ნაგებობებამდე დამოკიდებულია ამ შენობა-ნაგებობების ცეცლხმე-დეგობის ხარისხსა და მათ ფუნქციურ დანიშნულებაზე, ხოლო წარმოდგენილ სამშენებლო დოკუმენტაციაში მითითებული არ არის მიმდებარე შენობა-ნაგებობები და არც მათი ხანძარსაშიში და აფეთქებახანძარსაშიში კატეგორიები, ასევე ცეცხლმედეგობის ხარისხი, შესაბამისად არც მათ შორის არსებული კონკრეტული ხანძარსაწინააღმდეგო მანძილები, აუცილებელია ამ ინფორმაციის მოპოვება, რის შემდეგ ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი დასაპროექტებელ და სხვა შენობა-ნაგებობებს შორის განისაზღვროს SP 4.13130.2013-ის და სხვა სამშენებლო ნორმების და წესების მოთხოვნების გათვალისწინებით, რომლებიც ადგენენ ამ მანძილებს. აღნიშნული მოთხოვნების შესაბამისად შემუშავებული დაპროექტების დოკუმენტაცია წარმოდგენილი იქნას განსახილველად.

4. გათვალისწინდეს, შენობასთან მისასვლელი გზის მოწყობა სახანძრო ავტომობილებისათვის, სამშენებლო ნორმების და წესების შესაბამისად. სახანძრო ავტომობილების გასასვლელი გზების სიგანე და მანძილი გზის შიდა კიდიდან შენობის კედლამდე მიღებული უნდა იქნას სამშენებლო ნორმების და წესების შესაბამისად, ხოლო გზ-ის საფარის კონსტრუქცია გათვლილი უნდა იქნას სახანძრო ავტომობილების დატვირთვაზე.

საფუძველი: SP 4.13130.2013 პ.პ 8.2; 8.6; 8.8;8.9.

5. მთლიანად შენობის სასაწყობო და სავაჭრო სათავსოებში გასათვალისწინებელია ხანძრის აღმომჩენი ავტომატური სიგნალიზაციის მოწყობა;

საფუძველი: SP 5.13130.2009 ცხრილი A 3 პუნქტი 5.2; ცხრილიA1 პუნქტი 10.1.2

6.სასაწყობო და სავაჭრო დანიშნულების შენობის სართულების სათავსოებში გასათვალისწინებელია კვამლსაწინააღმდეგო ვენტილაციის სისტემის მოწყობა;

საფუძველი: SP 7.13130.2013 პუნქტი 7.2 „ე“; „ზ“

6. ვინაიდან დაპროექტების წარმოდგენილ დოკუმენტაციაში არ არის მოცემული და აღწერილი შენობის ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემების მოწყობის საკითხები, აუცილებელია შემუშავებული იქნას ქვემოთ ჩამოთვლილი ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემების სრული პროექტები, რომელიც უნდა შეიცავდეს:

ა) შენობის გარე ხანძარსაწინააღმდეგო წყალგაყვანილობის ქსელების პროექტს;

ბ) შენობის შიდა ხანძარსაწინააღმდეგო წყალგაყვანილობის ქსელების პროექტს;

გ) შენობაში ავტომატური სახანძრო სიგნალიზაციის მოწყობის პროექტს;

დ) კვამლსაწინააღმდეგო ვენტილაციის სისტემის პროექტს;
ე) შენობაში ხანძრის შესახებ შეტყობინებისა და ადამიანთა ევაკუაციის მართვის სისტემების მოწყობის პროექტს;
თ) შენობის გათბობის პროექტს;
ი) ელექტროდანადგარების მოწყობის პროექტს;
კ) შენობისთვის მეხამრიდების მოწყობის პროექტს.

გაცნობებთ, რა ზემოთ აღნიშნულს, წარმოდგენილი სამშენებლო დოკუმენტების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით უზრუნველყოფილი უნდა იქნას შენობის პროექტში სათანადო ცვლილებების და დამატებების შეტანა, ხოლო კორექტირებული სამშენებლო დოკუმენტაცია დადგენილი წესის შესაბამისად წარმოდგენილი იქნას საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურში შემდგომი განხილვისა და სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების შესაბამისობის თაობაზე სათანადო დასკვნის მოსამზადებლად.

პატივისცემით,

საგანგებო სიტუაციების სამსახურის უფროსის
მოვალეობის შემსრულებელი **შალვა ხუციშვილი**

საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური
უფროსის მოვალეობის შემსრულებელი
შალვა ხუციშვილი



ადრესატები: **საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური**